

იენს მაიერ ლადევიგი

პრინციპი

"de minimis non curat praetor"

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დაცვის სისტემაში

დოქტორი იენს მაიერ ლადევიგი

*გერმანიის ფედერალური მთავრობის ყოფილი წარმომადგენელი
ადამიანის უფლებათა სასამართლოში.*

ა) სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს როლი

1. ინდივიდუალური პირების სამართლებრივი დაცვა

სტრასბურგის სასამართლოს როლი განმარტებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში ტექსტში „კონვენცია“) მე-19 მუხლში. სასამართლო ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშემკვრელი მხარეების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და მისი ოქმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. 34-ე მუხლის თანახმად, ამისათვის სასამართლოს შეუძლია მიიღოს ინდივიდუალური განაცხადები და დაადგინოს, დაირღვა თუ არა კონვენციით უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებები. სასამართლო შეძლებისდაგვარად იზღუდავს თავს იმ საკითხთა განხილვით, რომლებიც კონკრეტულ საქმეშია წამოჭრილი და არ მიიჩნევს თავს ვალდებულად, განიხილოს შესაბამისი კანონმდებლობა აბსტრაქტულად¹. სახელმწიფოს მიერ წარდენილი განაცხადები იშვიათობას წარმოადგენენ და შეიძლება მათი იგნორირება ამ კონტექსტში – მათ არასდროს განიხილავენ როგორც უმნიშვნელო საქმეთა კატეგორიას. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს იმ განაცხადზე, რომელიც სავალდებულოა საერთაშორისო საჯარო სამართლით იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც მხარეს წარმოადგენდა ამ კონკრეტულ საქმეში (კონვენციის 46-ე მუხლის პირველი

¹ მყარი პრეცედენტული სამართალი, იხ. გადაწყვეტილება საქმეზე „ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ“, 16.11.2010, 926/05 § 83.

პუნქტი) და რომლის აღსრულებას მეთვალყურეობას უწევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი (კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

თავისი გადაწყვეტილებით სასამართლო იცავს პირს, რომლის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები დაირღვა. პირის უფლება, წარადგინოს ინდივიდუალური განაცხადი და სასამართლოსგან მიიღოს გადაწყვეტილება ამ განაცხადთან დაკავშირებით, კონვენციის სისტემის ბირთვს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ კონვენციის სუბსიდიარობის პრინციპი ნიშნავს, კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების დაცვა, პირველ რიგში, ხელშემკვრელი მხარეების – ხელისუფლების, განსაკუთრებით კი ეროვნული სასამართლოების მოვალეობაა (კონვენციის პირველი მუხლი). მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ისინი ხშირად ვერ ახერხებენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. უამრავ შემთხვევაში სტრასბურგის სასამართლო ერთადერთი ინსტიტუტია, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური უფლებების დაცვას. ეს ეხება მძიმე დარღვევებს, მაგალითად, სიცოცხლის უფლებას და წამებას, რომელიც აკრძალულია, ასევე ნაკლებად მძიმე დარღვევებსაც, განსაკუთრებით კი ეროვნული სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევას ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შეუძლებლობას გონივრულ ვადებში, რაც კონვენციის 6 (1) მუხლის დარღვევას იწვევს.

2. კონვენციის განვითარება და ინტერპრეტაცია

ადამიანის უფლებების დაცვისა და მეთვალყურეობის გარდა სასამართლოს კიდევ ერთი, საკონსტიტუციო ფუნქცია აქვს², ეს უფრო ზოგადი როლია. კონვენციის 32-ე მუხლის მიხედვით, „სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომლებიც მას გადაეცემა“. სასამართლოს მრავალგზის განუცხადებია, „რომ მისი გადაწყვეტილებები ფაქტობრივად მხოლოდ მასთან შეტანილი საქმეების გადაწყვეტისთვის კი არ გამოიყენება, არამედ, უფრო ზოგადად, კონვენციით შემოტანილი წესების განმარტების, დაცვისა და განვითარებისთვისაც, რითაც მას თავისი წვლილი შეაქვს იმ საქმეში, რომ სახელმწიფოებმა, როგორც ხელშემკვრელმა მხარეებმა, შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები“³. აღნიშნულ ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოს როლში სასამართლო უზრუნველყოფს საერთო პრინციპებსა და სტანდარტებს და ადგენს დაცვის მინიმალურ დონეს, რომელიც შენარჩუნებული უნდა იქნეს⁴. საპილოტე გადაწყვეტილებებში⁵ სასამართლო უფრო შორს მიდის და აყალიბებს სახელმძღვანელო პრინციპებს იმ სახელმწიფოთა დასახმარებლად, რომლებსაც უფრო ზოგად ზომებზე აქვთ გადაწყვეტილება მისაღები, განსაკუთრებით კი საკანონმდებლო ზომებზე, განმცხადებლის მსგავს სიტუაციაში მყოფ ადამიანებს რომ დაეხმაროს და ამ გზით თავიდან აირიდოს ახალი განაცხადები მსგავს პრობლემებზე.

² იხ. მინისტრთა კომიტეტისთვის წარდგენილი ბრძენთა ჯგუფის ანგარიში, 10.11.2006, Sages (2006) 06 EN Def. § 24.

³ მაგალითად, 24.11.2005-ის გადაწყვეტილება; გადაწყვეტილებათა და დასკვნათა ანგარიში; (ECHR) 2005-XII § 79 – „კაპიტალ ბანკი AD ბულგარეთის წინააღმდეგ“.

⁴ ბრძენთა ანგარიში, შენიშვნა N^o1 სქოლიოში.

⁵ იხ. ქვემოთ „ბ“ ქვემოთ.

სტრასბურგის სასამართლოს ისეთივე ორმაგი ფუნქცია აქვს, როგორც შიდასახელმწიფოებრივ საკონსტიტუციო სასამართლოებს. ისინი ინდივიდუალურ საქმეებზეც იღებენ გადაწყვეტილებებს და კონსტიტუციასაც ავითარებენ მოსამართლის მიერ შექმნილი კანონებით. კანონების შექმნა პრეცედენტული სამართლით ჩვეულებრივი მოვლენაა წევრ სახელმწიფოებში, განურჩევლად იმისა, საერთო სამართლის ტრადიციებს მისდევნენ ისინი თუ კონტინენტური სამართლისას. მაგრამ ამას მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკონსტიტუციო სასამართლოებისთვის, რადგან კონსტიტუციები, კონვენციის მსგავსად, ხშირად შეიცავენ მოკლე ფორმულირებებს, რომლებსაც ახსნა-განმარტება სჭირდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არც სხვა ეროვნული სასამართლოებისთვის წარმოადგენს უმნიშვნელო საკითხს კანონების ჩამოყალიბება პრეცედენტული სამართლით.

სასამართლოს უფრო ზოგად როლს პრაქტიკული შედეგები აქვს პრეცედენტულ სამართალში. მაგალითად, კონვენციის 34-ე მუხლთან დაკავშირებით, დარღვევის მსხვერპლის არსებობა, ჩვეულებრივ, აუცილებელია. მაგრამ, როცა განაცხადის ავტორი, როგორც მსხვერპლი, წყვეტს არსებობას საქმის წარმოების დროს, სასამართლო უფრო მოქნილ აზრს გამოთქვამს და არ გამოორიცხავს განაცხადს საქმეთა ნუსხიდან, თუ ის ზოგადი მნიშვნელობის საკითხებს აყენებს, „რომლებიც სცილდება განმცხადებლის ინტერესებს“ ან, თუ განაცხადის გამორიცხვით „ძირი ეთხრება თავად ინდივიდუალური განაცხადების წარდგენის უფლების არსს“⁶. მსგავსი მოსაზრებები იკითხება გადაწყვეტილებებში, რომლებიც მიღებულია იმის თაობაზე, გამოორიცხოს თუ არა განაცხადი 37-ე მუხლში მოცემული პირობების მიხედვით, თუკი, მაგალითად, ქვეყნის მთავრობა აღიარებს დარღვევას და იღებს ვალდებულებას, რომ გამოასწორობს საქმეს⁷. ამ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ, თუ ადამიანის უფლებათა პატივისცემა მოითხოვს, განაცხადის განხილვა უნდა გაგრძელდეს (იხ. 37-ე მუხლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადება).

მასზე დაკისრებული კონსტიტუციური მისია სტრასბურგის სასამართლომ თავიდანვე აიღო, როცა დაეთანხმა კონცეფციას, რომ კონვენცია „ცოცხალი ინსტრუმენტია, რომელიც განმარტებული უნდა იქნეს დღევანდელი მდგომარეობის ქრილში“⁸ და იმის გათვალისწინებით, „რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სულ უფრო მზარდ სტანდარტებზეა მოთხოვნილება“⁹. ამიტომაცაა სტრასბურგის პრეცედენტული სამართალი ესოდენ მნიშვნელოვანი კონვენციისა და მისგან მომდინარე ვალდებულებების მართებული გააზრებისთვის. იგივე შეიძლება ითქვას სხვადასხვა სახელმწიფოს საკონსტიტუციო სასამართლოების პრეცედენტულ სამართალზეც და ამ სასამართლოების მნიშვნელობაზე ეროვნული კონსტიტუციების განმარტებისთვის.

⁶ 24.11.2005-ის გადაწყვეტილება, N°3 სქოლიო, § 78; ECHR, 40016/98 § 125, ECHR 2003-IX – „კარნერი ავსტრიის წინააღმდეგ“.

⁷ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე „ორლოვსკი გერმანიის წინააღმდეგ“, „ლიუკი გერმანიის წინააღმდეგ“; „რანცივი კვიპროსის წინააღმდეგ“.

⁸ იხ. გადაწყვეტილება 25.4.1978, სერია A, No. 26, გვ. 15-16 § 31, „ტაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“.

⁹ გადაწყვეტილება, 28.7.1999, 25803/94, ECHR 1999-V § 101, „სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ“.

3. მოსამართლის მიერ შექმნილი კანონის (გადაწყვეტილების) სავალდებულო ძალა

კონვენციის 46-ე მუხლი ეხება გადაწყვეტილებათა სავალდებულო ძალას საქმეებზე, რომელთა მხარეებიც ხელშემკვრელი სახელმწიფოები არიან. პრობლემა, რომელსაც ვეხებით, არის გადაწყვეტილებათა ზემოქმედება იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც არ ყოფილა მოპასუხე საქმეში. ეს იმ შემთხვევაში მუშაობს, თუკი სხვა წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებს სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს მათთვის. კონვენციას არა აქვს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტის 31-ე მუხლის მსგავსი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, რომ გერმანიის ნებისმიერი სასამართლოსა და ხელისუფლებისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება სავალდებულოა, როცა ის კონკრეტულ საკითხს წყვეტს დავაში (*res judicata*)¹⁰. მაგრამ სტრასბურგის პრეცედენტული სამართალი „ასახავს კონვენციისა და მისი ოქმების განვითარების ამჟამინდელ მდგომარეობას“¹¹ და ვინაიდან კონვენციას, „როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, ფორმალური სტატუსის სტატუსი აქვს, ის სტატუსური კანონის უპირატეს ძალას იზიარებს და, შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლება მას უნდა დაემორჩილოს“¹². სასამართლო ხელისუფლებამ „მხედველობაში უნდა მიიღოს კონვენციით გათვალისწინებული გარანტიები და სასამართლოს გადაწყვეტილებები, როგორც კანონის მეთოდოლოგიურად დასაშვები განმარტების ნაწილი“¹³. ეს მომდინარეობს კონვენციის პირველი და არა 46-ე მუხლიდან. კონვენციის პირველი მუხლი ავალდებულებს ხელშემკვრელ მხარეებს, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყონ ნებისმიერი პირის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც განსაზღვრულია ამ კონვენციაში.

ბ. გამონაკლისები ადამიანის სამართლებრივი დაცვის მიზნიდან

1. სასამართლოს დატვირთვა

დიდი ხანია, რაც სტრასბურგის სასამართლოს გადატვირთვა შეშფოთებას იწვევს. ლაპარაკია იმ საფრთხეზეც, რომ იგი შეიძლება ჩაეფლოს უამრავ უმნიშვნელო, წვრილმან საქმეში და საკმარისი დრო არ აღმოაჩნდეს იმ საქმეების განხილვისთვის, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვანი არიან ზოგადი და კონსტიტუციური ასპექტების კუთხით. თავის პრეცედენტულ სამართალში სასამართლოს ბევრჯერ უცდია ამ პრობლემის გადაჭრა. ის ხაზს უსვამს მე-13 მუხლის მნიშვნელობას და სუბსიდიარობის პრინციპს, რომელიც ამ ნორმიდან და მე-8

¹⁰ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს ბრძანება; 14.10.2004, 2 BvR 1481/04 § 39.

¹¹ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო; შენიშვნა სქოლიოში 10, § 38.

¹² გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო; შენიშვნა სქოლიოში 10, § 53.

¹³ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს ბრძანება; შენიშვნა სქოლიოში 10, § 47.

მუხლიდან მომდინარეობს¹⁴. რაც შეეხება კონვენციის 46-ე მუხლს, სასამართლო აცხადებს მყარ პრეცედენტულ სამართალში, რომ „დარღვევის აღმოჩენა მოპასუხე სახელმწიფოს არა მხოლოდ თანხების კომპენსაციას აკისრებს... 41-ე მუხლის შესაბამისად, არამედ სამართლებრივ ვალდებულებას, შეარჩიოს ზოგადი და/ან, თუ საჭიროება მოითხოვს, ინდივიდუალური ზომებიც (რომლებიც დაექვემდებარება მინისტრთა კაბინეტის მეთვალყურეობას), რომლებსაც ის შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ წესრიგში მიიღებს და დაამტკიცებს, რათა ბოლო მოეღოს სასამართლოს მიერ დადგენილ დარღვევას და, რამდენადაც შესაძლებელია, გამოსწორდეს შედეგები“¹⁵. სახელმწიფო ვალდებულია, აგრეთვე გაატაროს ისეთი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ კონვენციის მსგავსი დარღვევა არ მოხდეს მომავალში. უკვე რამდენიმე წელია, რაც სასამართლო საპილოტე სამართალწარმოებას იყენებს, რათა, რაც შეიძლება ეფექტიანად აიცილოს თავიდან უამრავი ერთმანეთის მსგავსი განაცხადის განხილვის საჭიროება სამომავლოდ.

2. საპილოტე გადაწყვეტილებები

თავის პრეცედენტულ სამართალში სასამართლოს არაერთხელ გაუსვამს ხაზი იმისთვის, რომ კონვენციის 46-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, რომელიც გულისხმობს ზოგადი ზომების გატარებას, მიზნად ისახავს განმცხადებლის იმ უფლების უზრუნველყოფას, რომელიც, სასამართლოს აზრით, დაირღვა. მაგრამ სასამართლო უფრო შორს მიდის: „ასეთი ზომები უნდა გატარდეს აგრეთვე განმცხადებლის მდგომარეობაში მყოფ პირებთან დაკავშირებითაც, განსაკუთრებით კი იმ პრობლემების მოგვარების გზით, რომლებმაც სასამართლო ამ დასკვნამდე მიიყვანა“¹⁶. სასამართლო საპილოტე გადაწყვეტილების პროცედურის გამოყენებას იმ მიზნით იწყებს, რომ მკაფიოდ მოახდინოს დარღვევის სტრუქტურული პრობლემების იდენტიფიცირება და გასცეს კონკრეტული მითითებები ზომებისა თუ მოქმედებების ჩასატარებლად, მათ შორის, საკანონმდებლო ზომების გასატარებლად. ამ პროცედურის მიზანია, წააქეზოს მოპასუხე სახელმწიფო, რომ მან მოავაროს ერთნაირი, მსგავს პრობლემასთან დაკავშირებული, საქმეები შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, ისე, რომ სასამართლოს აღარ დასჭირდეს კვლავ და კვლავ ერთი და იმავე გადაწყვეტილების გამოტანა¹⁷. ამ სახის პროცედურას ბევრი უპირატესობა აქვს. მაგრამ ის მხოლოდ იმ შემთხვევაში მუშაობს, თუკი მოპასუხე სახელმწიფოები მზად არიან თანამშრომლობისთვის და იმისთვის, რომ გაატარონ მითითებული ზომები. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ მივა გადაწყვეტილებამდე მინისტრთა კომიტეტი სამეთვალყურეო პროცესის დროს, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის 46 (2) მუხლით, როცა, მაგალითად, რომელიმე სახელმწიფოს პარლამენტი მზად არ არის, გაატაროს მითითებული საკანონმდებლო ზომები.

¹⁴ განსაკუთრებით კი დიდი პალატის გადაწყვეტილებაში; 26.10.2000, 30210/96, ECHR 2000-XI, „კუღლა პოლონეთის წინააღმდეგ“.

¹⁵ გადაწყვეტილება 8.6.2006, 75529/01 § 137, ECHR 2006-VII საქმეზე „სიურმელი გერმანიის წინააღმდეგ“.

¹⁶ გადაწყვეტილება 25.7.2009, 476/07 § 49 – საქმეზე „ოლარუ და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ“.

¹⁷ ოლარუს გადაწყვეტილება, შენიშვნა მე-16 სქოლიოში, §5 50, 51.

როდესაც სასამართლო საპილოტე გადაწყვეტილების პროცედურის გამოყენებას ირჩევს, შეიძლება შემცირდეს ადამიანის სამართლებრივი დაცვის ხარისხი. სასამართლო ზოგჯერ (არა ყველა საპილოტე საქმეში) იღებს გადაწყვეტილებას, რომ გადადოს უამრავი მსგავსი საქმის განხილვა იმ მიზნით, რომ მოპასუხე სახელმწიფოს საშუალება მისცეს, თავად მოავაროს პრობლემები შიდასახელმწიფოებრივ დონეზე¹⁸. ეს გონივრულ გადაწყვეტილებას ჰგავს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა სასამართლოს დადგენილი აქვს დროის ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მოპასუხე სახელმწიფომ სტრუქტურული პრობლემა უნდა მოავაროს ზოგადი ზომის გატარებით, მაგალითად, მიიღოს ახალი კანონი. ამის შედეგად უამრავი განმცხადებლის საჩივრები, რომლებიც კონვენციით უზრუნველყოფილი მათი უფლებების ერთნაირ დარღვევას ეხება, არ განიხილება გარკვეულ დროში. სინამდვილეში, ამას შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს, სანამ სტრუქტურული პრობლემა არ მოგვარდება ან ისიც არ არის გამორიცხული, რომ მოპასუხე სახელმწიფომ საერთოდ არ გამოასწოროს ვითარება და განაგრძოს კონვენციის დარღვევა. ამ შემთხვევაში სასამართლო განაცხადებს შეტანილი განაცხადის განხილვას და მიიღებს მასზე გადაწყვეტილებას¹⁹, მაგრამ დანარჩენ განმცხადებლებს სამართლებრივი დაცვით ვერ უზრუნველყოფს კიდევ დიდი ხნის განმავლობაში.

3. უნიშვნელო კატეგორიის საქმეთა განხილვა კონვენციის №14 ოქმის ძალაში შესვლამდე

კონვენციაში მოცემულია პროცედურული საშუალებები, რომელთა გამოყენებით სასამართლო არ იღებს ისეთ განაცხადებს, რომლებსაც არ გააჩნიათ წარმატების პერსპექტივა და არა აქვთ დიდი მნიშვნელობა. კონვენციის 35-ე მუხლში ჩამოთვლილია განაცხადის დასაშვებობის კრიტერიუმები, რომლებიც სასამართლოს მთავარი ინსტრუმენტით უზრუნველყოფენ. ამ მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ „აშკარად დაუსაბუთებელი“ განაცხადები სასამართლომ დაუშვებლად უნდა გამოაცხადოს. ის ასეც იქცევა: სამი მოსამართლისგან შემდგარ კომიტეტს შეუძლია განჩინება მიიღოს ერთსულოვნად და საქმის შემდგომი განხილვის გარეშე (კონვენციის 28-ე მუხლი). გადაწყვეტილება შეიძლება მიღებული იქნეს მდუმარე შეთანხმებით (სასამართლოს რეგლამენტი, წესი 23 „ა“) და ის საბოლოოა. ხშირად მოპასუხე სახელმწიფოს არც ეტყობინება განაცხადის შესახებ. წერილობითი გადაწყვეტილების საჭიროება არ არსებობს. განმცხადებელს შეიძლება წერილის საშუალებით ეცნობოს მის შესახებ (სასამართლოს რეგლამენტი, წესი 53 V).

განაცხადების ამ გამფილტვრელ ინსტრუმენტს დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი დახმარებით განაცხადების 90%-ზე მეტი დაუშვებლად ცხადდება. 2009 წელს სასამართლომ 35 460 საქმე განიხილა. მათგან გადაწყვეტილება 2 395-ზე მიიღო, ხოლო განჩინება – 33 065-ზე. ეს ინსტრუმენტი გაძლიერდა კონვენციის №14 ოქმით, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ივნისს (იხ. IV ქვემოთ).

¹⁸ ოლარუს გადაწყვეტილება, შენიშვნა მე-16 სქოლიოში, § 51.

¹⁹ გადაწყვეტილება ოლარუს საქმეზე, სქოლიოში 16, § 52.

4. უმნიშვნელო კატეგორიის საქმეები (მინიმა)

1. არის თუ არა პრინციპი “de minimis non curat praetor” კონვენციის სისტემის ნაწილი?

ზემოთ აღწერილი გამფილტვრელი ინსტრუმენტი გამოიყენება უმნიშვნელო საქმეებისთვის, რომლებსაც არა აქვთ წარმატების პერსპექტივა. მაგრამ ხშირად განიხილება საკითხი, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ის საქმეები, რომლებსაც მინიმალური მნიშვნელობა აქვთ განმცხადებლისთვის და არანაირი – სამართლისთვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ამკარად დასაბუთებულ საქმეებთან გვაქვს საქმე.

პრინციპი “de minimis non curat praetor” იშვიათად გვხვდება ადამიანის უფლებათა ევროპის ძველი კომისიის ანგარიშებში ან სასამართლოს გადაწყვეტილებებსა თუ განჩინებებში.

პირველი მაგალითის შესახებ კომისიის 1979 წლის 19 დეკემბრის ანგარიშში შეიძლება წავიკითხოთ, საქმეზე „X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“²⁰. განაცხადის ავტორმა გაერთიანებულ სამეფოში სასჯელის მოხდის პერიოდში ოპერაცია გაიკეთა ერთ-ერთი ფეხის თითების გასასწორებლად. მოგვიანებით ერთ-ერთ თითს ამპუტაცია დასჭირდა. განმცხადებელმა კომპენსაცია მოითხოვა და სცადა, იურიდიულ კონსულტაციაზე ნებართვა მოეპოვებინა. მან ორივეზე უარი მილო. კომისიამ განიხილა, ეხებოდა თუ არა მისი განაცხადი კონვენციის მე-6 მუხლში მოცემულ საკითხს (საქმის სამართლიანი განხილვა, სასამართლოსადმი მიმართვა). კომისიამ დაასაბუთა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის დაუშვებდა, რომ განმცხადებლისთვის ნათქვამი უარი არ შეესაბამებოდა 6(1) მუხლის მოთხოვნებს, განაცხადი ამკარად დაუსაბუთებელი იყო. კომისიამ პირველ რიგში აღნიშნა, რომ მსგავსი სიტუაცია აღარ გამეორდება, ვინაიდან ბრიტანეთის სასამართლო პრაქტიკამ ლიბერალიზაციის პროცესი გაიარა და, მეორე რიგში, განმცხადებელს არ მიუძღრთავს იურისტისთვის მოგვიანებით, როცა ამის საშუალება მიეცა. კომისია განაგრძობს: „ამასთან დაკავშირებით კომისია მიუთითებს სამართლებრივ პრინციპზე “de minimis non curat lex”. ეს უცნაური იყო ამ კონტექსტში, მაგრამ მიგვანიშნებს იმაზე, რომ კომისია დარწმუნებული იყო ამ პრინციპის არსებობაში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა კიდევ ერთი საქმე, კერძოდ, „კ-3 გერმანიის წინააღმდეგ“ (K.-H. v. Germany)²¹. გერმანიის მოქალაქის განაცხადი კონვენციის 5(1) მუხლის დარღვევას ეხებოდა. განმცხადებელი პოლიციამ დააკავა და პატიმრობაში გააჩერა მისი ვინაობას დადგენამდე. გერმანული კანონმდებლობა 12 საათს ითვალისწინებს ამგვარი პატიმრობისთვის, პოლიციელებმა კი მის შემთხვევაში 45 წუთით გადააჭარბეს კანონით განსაზღვრულ დროს.

კომისიამ ანგარიშში დაადგინა²², რომ განთავისუფლების მცირე ხნით გაჭიანურება შეიძლება გამართლდეს პრაქტიკული მიზეზებით. პატიმრობიდან 45 წუთით დაგვიანებით განთავისუფლებას განმცხადებლისთვის თვითნებურად არ წაურთმევია თავისუფლება, რო-

²⁰ გადაწყვეტილებები და ანგარიშები, 47, 24.

²¹ სასამართლოს გადაწყვეტილება, 27.11.1997, 144/1996/763/964; ანგარიშები 1997-VII.

²² Of 10.9.1996, 25629/94, §§ 59, 65.

გორც ამას კონვენციის მე-5 მუხლი გულისხმობს. ამიტომ კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებლის შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას. მაგრამ კომისიის დასკვნაზე ჩამოყალიბებულ განსხვავებულ აზრში, რომელსაც ხელს ექვსი წევრი აწერს, მოხსენიებულია "de minimis" პრინციპი. კომისიის წევრები ამტკიცებდნენ, რომ დაირღვა მე-5 მუხლი. განთავისუფლების მცირე დროით გაჭიანურების შემთხვევაშიც კი, უფლება თავისუფლებაზე მოითხოვდა კონვენციის მეთვალყურე ორგანოების მხრიდან ზუსტ და ზედმიწევნით მეთვალყურეობას. როგორც განსხვავებული აზრის ავტორები აღნიშნავდნენ, ეროვნული კანონმდებლობის მცირე დროით დარღვევის იგნორირებაც კი არ შეიძლებოდა გამართლებულიყო "de minimis principle"-ის გამოყენებით. "De minimis non curat praetor" პრინციპი „არ არის კონვენციის სამართლებრივი ჩარჩოების ნაწილი და ბუნებრივია, რომ თავისუფლების უკანონოდ წართმევის კონტექსტში მას ადგილი არა აქვს“. სასამართლოს არ უხსენებია ეს საკითხი თავის განჩინებაში. მან დაადგინა, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული დაკავება/პატიმრობის მაქსიმალური ვადა აბსოლუტური იყო და რომ კონვენციის მე-5 (1(გ)) მუხლი დარღვეული იქნა²³.

ეს შემთხვევა ცხადყოფს, რომ კომისიასა და სასამართლოს მაშინ და ამ კონტექსტში არ სურდათ განსაკუთრებით აღენიშნათ "de minimis..." პრინციპი. მათ სხვა გზები გამოიყენეს კონვენციის მუხლების განმარტებისას (იხ. მე-3 ქვეთავი ქვემოთ) და გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენეს კონვენციის 35(3) მუხლი და უმნიშვნელო განაცხადები გარკვეული პირობებით დაუშვებლად გამოაცხადეს, ინდივიდუალური განაცხადის უფლების შელახვის-თვის.

2. განაცხადის შეტანის უფლების ბოროტად გამოყენება

კონვენციის №14 ოქმის ძალაში შესვლამდე, რომლის ძალით ცლილებები შევიდა კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტში, სასამართლომ ძველი მუხლი გამოიყენა. საქმეში „სტივენ ბოკი გერმანიის წინააღმდეგ“²⁴ განაცხადის ავტორი, გერმანიის საჯარო სამსახურის მოხელე, რომლის თვითურ გასამრჯელოს 4500 ევრო შეადგენდა და რომელსაც მკურნალმა ექიმმა 7,99 ევროდ ღირებული მაგნიზიუმის აბები გამოუწერა, სახელმწიფოსგან, როგორც თავისი დამსაქმებლისგან, მოითხოვდა ამ თანხის ანაზღაურებას. მას უარი უთხრეს, რის შემდეგაც განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა უარყოფითი პასუხის წინააღმდეგ. საჩივარი არ იქნა მიღებული. ამის შემდეგ მან სააპელაციო განაცხადება შეიტანა ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო სასამართლოსა და ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში. სტრასბურგის სასამართლოსადმი წარდგენილ განაცხადში ის აცხადებდა, რომ დაირღვა კონვენციის 6(1) მუხლით უზრუნველყოფილი მისი უფლებები, რადგან საქმის წარმოება დიდ ხანს გაგრძელდა. სასამართლომ უარი თქვა განაცხადის მიღებაზე, ვინაიდან მიიჩნია, რომ ავტორი ბოროტად იყენებდა მიმართვის უფლებას. ასეთ შემთხვევაში კი სასამართლო დაუშვებლად

²³ 10.9.1996, 25629/94, §§ 59, 65.

²⁴ გადაწყვეტილება 19.1.2010, 22051/07.

აცხადებს განაცხადს. თავის დასაბუთებაში სასამართლოს არ უხსენებია “de minimis non curat praetor“-ის პრინციპი, მაგრამ განჩინება ნამდვილად მას ეყრდნობოდა. სასამართლომ აღნიშნა ის დისპროპორციულობა, რომელიც არსებობდა ფაქტების უმნიშვნელობას, ასანაზღაურებელი თანხის სიმცირესა და სასამართლო პროცედურების უსაზღვროდ დიდ გამოყენებას შორის, რაშიც საერთაშორისო სასამართლოც იგულისხმებოდა. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ ის ძალზე გადატვირთული იყო და რომ გაცილებით სერიოზული საქმეები ჰქონდა მოსასმენი. შემდეგ სასამართლომ აღნიშნა, რომ განაცხადი პრინციპულ საკითხებს არ წამოჭრიდა და რომ უამრავ გადაწყვეტილებაში ყოფილა ლაპარაკი გაჭიანურებული სასამართლო პროცედურების შესახებ და საბოლოოდ დაასკვნა, რომ „ამ განსაკუთრებულ გარემოებებში სასამართლო მიიჩნევს, რომ განაცხადი უნდა შეფასდეს როგორც სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენება“. ამ გადაწყვეტილებამ დააგვიანა, მაგრამ საბოლოოდ მაინც იქნა მიღებული. მომავალში სასამართლო კონვენციის N°14 ოქმით შესწორებულ 35 (3(ბ)) მუხლს გამოიყენებს.

3. უმნიშვნელო საქმეების გაფილტვრა კონვენციის არსებითი მუხლების ინტერპრეტაციის საშუალებით

სასამართლოს ბევრი საშუალება აქვს იმისთვის, რომ *de minimis non curat praetor*-ის გამოყენების გარეშე უარი თქვას ისეთი განაცხადების მიღებაზე, რომლებშიც წამოჭრილი არ არის სერიოზული პრობლემები.

ა. შეფასების ფარგლები/შეფასების თავისუფლება

პრეცედენტული სამართლის ერთ-ერთი პრინციპია, რომ ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები შეფასების თავისუფლებით სარგებლობდნენ. ეს პრინციპი მნიშვნელოვანია კონვენციის 8-11 მუხლების რიგით მე-2 პუნქტების განმარტებისას, რომლებიც, *inter alia*, ითვალისწინებენ, რომ ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლოს ხშირად გაუსვამს ხაზი იმისთვის, რომ პირველ რიგში ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა შეაფასოს, არსებობს თუ არა გადაუდებელი სოციალური საჭიროება ჩარევისთვის და რომ ეროვნული ხელისუფლება შეფასების თავისუფლებით უნდა სარგებლობდეს ამ საკითხის გადაწყვეტისას²⁵. ასეთ შემთხვევებში სასამართლოს საზედამხედველო ფუნქცია შეზღუდულია, ის არ მოქმედებს კომპეტენტური ეროვნული უფლებამოსილი პირების ნაცვლად, ასე რომ, ყოველთვის შეუძლია იოლად მიიღოს მათი გადაწყვეტილება, როცა ისინი სერიოზულად არ არღვევენ კონვენციის ნორმებს. იგივე შეიძლება ითქვას იმ კრიტიკური შემთხვევაში, რომ ლეგიტიმურ მიზნებსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის პროპორციულობის გონივრული კავშირი უნდა არსებობდეს.

²⁵ მაგალითად, კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებით იხ. გადაწყვეტილება საქმეზე „რუარი საფრანგეთის წინააღმდეგ“, 22.1.1999, §§ 45,56, ECHR 2002-1.

ბ. ინტერესთა ბალანსი

სასამართლოში შეტანილ ბევრ საქმეში განსხვავებული ინტერესებია გასათვალისწინებელი და ამიტომ სასამართლო მოითხოვს, რომ მათ შორის სამართლიანი ბალანსი იყოს დაცული. მაგალითად, საქმეებში, რომლებიც ეხება №1 ოქმის პირველ მუხლს, ჩარევის შედეგად სამართლიანად უნდა დაბალანსდეს საზოგადოებრივ ინტერესთან დაკავშირებული მოთხოვნები და მოთხოვნები ინდივიდუალური უფლებების დაცვაზე²⁶. კიდევ ერთი მაგალითია კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვის პოზიტიური ვალდებულება, რომელიც მოითხოვს სამართლიანი ბალანსის დაცვას ინდივიდუალური პირისა და საზოგადოების (თემის) საპირისპირო ინტერესებს შორის²⁷. ასეთი ბალანსი განსაკუთრებით საჭიროა იმ უამრავ საქმეში, სადაც ერთი ადამიანის ინდივიდუალური უფლება უნდა გაწონასწორდეს მეორე პირის უფლებით. მაგალითად, კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება უნდა დაბალანსდეს გამოხატვის თავისუფლებით, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლითაა დაცული²⁸. ასეთ შემთხვევებში სასამართლო შეისწავლის საქმის ყველა გარემოებას, სხვადასხვა ინტერესებს საკითხთან დაკავშირებით და ცხადია, რომ ამ გზით შეუძლია გაცხრილოს ის უმნიშვნელო საქმეები, რომლებშიც განმცხადებელი არ იმყოფება ძალზე არახელსაყრელ ვითარებაში.

გ. პროცედურული ნორმების გამოყენება უმნიშვნელო საქმეების გამოსარიცხად

ეჭვგარეშეა, რომ არსებობს რამდენიმე პროცედურული შესაძლებლობა *de minimis non curat praetor* პრინციპის გამოსაყენებლად. სწორედ მათი გამოყენებისკენ მოუწოდა წევრი ქვეყნების მიერ შვეიცარიის ქალაქ ინტერლაქენში ჩატარებულმა კონფერენციამ სტრასბურგის სასამართლოს²⁹. კრიტერიუმი „აშკარად დაუსაბუთებელი“ საშუალებას აძლევს სასამართლოს, მოქნილი იყოს გადაწყვეტილების ძიებისას, მაგრამ მხოლოდ იმ განაცხადებთან დაკავშირებით, რომლებსაც წარმატების პერსპექტივა არ გააჩნიათ. „ბოროტად გამოყენების“ კრიტერიუმი შეიძლება კარგად დასაბუთებული განაცხადების შემთხვევაშიც იქნეს გამოყენებული და სასამართლოს მართლაც გამოუყენებია ის, მაგრამ უმნიშვნელო საქმეებისთვის დაგვიანებით და იშვიათად. 34-ე მუხლში მოცემული „მსხვერპლის“ განმარტებისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული, არსებობს თუ არა წამგებიანი მდგომარეობა განაცხადის ავტორისთვის (იხ. ქვემოთ, 4 „ა“). ამ კონტექსტში გამოსადეგი იქნება აგრეთვე 37-ე მუხლის პირველი პუნქტით („ბ“ და „გ“) გათვალისწინებული შესაძლებლობები, რომლებიც გულისხმობს განაცხადების გამორიცხვას საქმეთა ნუსხიდან ისეთ შემთხვევებში, როცა დავა უკვე გადაწყვეტილია ან, როცა განაცხადის განხილვის გაგრძელება აღარ არის გამართლებული.

²⁶ იხ. გადაწყვეტილება საქმეზე „ბეიერლერი იტალიის წინააღმდეგ“, 5.1.2000, 33202/96 §§ 107, 114, ECHR 2000-I.

²⁷ იხ. საქმე „ფონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ“, 24.6.2004, 59320/00 § 57, ECHR 2004-VI.

²⁸ იხ. გადაწყვეტილება საქმეზე „ფონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ“, შენიშვნა 27-ე სქოლიოში, § 58.

²⁹ სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2010 წლის 19 თებერვალს.

დ. არსებითი მუხლების ინტერპრეტაცია

კონვენციის მუხლების გამოყენებისთვის სასამართლო მოითხოვს გარკვეული ხარისხის სიმწვავის არსებობას, რათა ის არ გავრცელდეს ნაკლებად მნიშვნელოვან ან უმნიშვნელო საქმეებზე. ქვემოთ მოვიტანთ მაგალითებს:

კონვენციის მე-3 მუხლი: სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „ცუდად მოპყრობამ“ უნდა მიაღწიოს სიმწვავის/სისასტიკის **მინიმალურ დონეს** იმისთვის, რომ ამ მუხლის ფარგლებში მოექცეს³⁰. ამ შემთხვევაში შეფასება შედარებითია და საქმის ყველა გარემოებაზე დამოკიდებული. მაგალითად, როცა საქმე ციხის პირობებს ეხება, გარკვეული სახის დეფექტები თუ ნაკლოვანებები არ უნდა გაუტოლდეს არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას³¹.

კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი: სასამართლომ ჩამოაყალიბა შემდეგი კრიტერიუმები: პროცედურების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს **საქმის განსაკუთრებული გარემოებების** კუთხით, კერძოდ, უნდა შეფასდეს საქმის სირთულე, მისი მნიშვნელობა განმცხადებლისთვის და განმცხადებლისა და ხელისუფლების იმ ორგანოების საქციელი, რომელთაც განმცხადებელმა საქმე წარუდგინა³². იყო თუ არა პროცესი სამართლიანი, ფასდება საქმის **ყველა გარემოების** გათვალისწინებით. ეს კრიტერიუმები სასამართლოს საჭირო მოქნილობას ანიჭებს.

კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი: როცა განაცხადი ეხება დაცვის უფლების სავარაუდო დარღვევას მე-6 მუხლის მე-3 („დ“) პუნქტით, სასამართლო განიხილავს, შეიზღუდა თუ არა ეს უფლებები **იმ ხარისხით, რაც შეუთავსებელს** ხდის შეზღუდვას მე-6 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებთან³³.

კონვენციის მე-8 მუხლი: ჩარევამ პირადი და ოჯახური უფლების პატივისცემის უფლებებში უნდა მიაღწიოს **სიმწვავის მინიმალურ დონეს**³⁴. გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საქმეებში სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ასრულებს თუ არა სახელმწიფო თავის პოზიტიურ ვალდებულებებს, კერძოდ, მოქალაქეთა დაცვისას, როცა გარემოს დაბინძურება უარყოფითად და **საკმარისი ხარისხით** ზემოქმედებს ადამიანის მიერ მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებების განხორციელებაზე. ეს უნდა იყოს „**გარემოს მძიმე დაბინძურება**“³⁵.

კონვენციის მე-14 მუხლი: უნდა შეფასდეს: 1. არის თუ არა განმცხადებელი სხვა პირების ანალოგიურ ან მეტ-ნაკლებად მსგავს მდგომარეობაში; 2. ეპყრობიან თუ არა მათ განსხვავებულად; 3. არსებობს თუ არა ობიექტური და გონივრული მიზეზები, რომლებიც ამართლებს განსხვავებულ მოპყრობას, ანუ საჭიროა თუ არა ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და

³⁰ საქმე „ივან კუმინი რუსეთის წინააღმდეგ“; 25.11.2010, 30271/03 § 71.

³¹ საქმე „ფარად ალიევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ“; 9.11.2010, 37138/06 §§ 114, 119.

³² საქმე „პედერსენი და ბაადსგარდი დანიის წინააღმდეგ“; 17.12.2004, 49017/99 § 45, ECHR 2004-XI1.

³³ მაგალითად, გადაწყვეტილება საქმეზე „ძელილი გერმანიის წინააღმდეგ“; 29.9.2009, 15065/05.

³⁴ საქმე „მილევა ბულგარეთის წინააღმდეგ“; 25.11.2010, 43449/02 § 90.

³⁵ Inter alia საქმე „ივან ათანასოვი ბულგარეთის წინააღმდეგ“; 2.12.2010, 12853/03 §§ 66, 67.

არსებობს თუ არა პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ ხერხებსა და იმ მიზანს შორის, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს. სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების თავისუფლებით³⁶.

№ 1 ოქმის პირველი მუხლი: სასამართლოს პრეცედენტული სამართლი გულისხმობს, რომ საკუთრების ცნებას ავტონომიური მნიშვნელობა აქვს და ის შეზღუდული კი არ არის ფიზიკური საგნების მფლობელობით, არამედ მოიცავს გარკვეულ უფლებებს, რომლებიც ქმნიან ამ მუხლით დაცულ აქტივებს. სასამართლო შეისწავლის, ეხება თუ არა საქმის გარემოებები პირველი მუხლით დაცულ არსებით ინტერესს³⁷.

4. ოქმი № 14

ა. ისტორია

სასამართლოს უკიდურესმა დატვირთულობამ, რაც კიდევ უფრო მატულობს, აიძულა დაინტერესებული პირები, მდგომარეობის გამოსასწორებლად გზები ეძებნათ. სასამართლოს დატვირთვას ძირითადად დაუშვებელი განაცხადების დიდი რაოდენობა იწვევს, რაც 90%-ზე მეტს შეადგენს, ასევე განმეორებადი საქმეები, ანუ ის საქმეები, რომლებსაც ერთი და იგივე საფუძველი აქვთ, ხშირად სტრუქტურული სახის, როგორც აღრეულ განაცხადებს, რომლებზეც გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას (გადაწყვეტილებათა დაახლოებით 60%)³⁸. წამოჭრილი იქნა წინადადება, რომ სასამართლოსთვის მოეცილებინათ ასეთი განაცხადები³⁹, განსაკუთრებით კი ნაკლებად არსებითები. სასამართლოს მუშაობის მეთოდებზე მომუშავე ჯგუფმა⁴⁰ აღნიშნა, რომ „კონვენციის 35-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის კრიტერიუმებში არ შედის განაცხადის უარყოფის ისეთი საფუძველი, როგორცაა მისი ნაკლებად არსებითი ხასიათი“. ჯგუფმა აგრეთვე აღნიშნა, რომ 35-ე მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული ბოროტად გამოყენების კრიტერიუმი მანამდე გამოიყენებოდა როგორც შემზღუდველი და, მისი აზრით, ცნება „მსხვერპლი“ (34-ე მუხლი) შეიძლებოდა უფრო ვიწროდ განსაზღვრულიყო. სასამართლომ ყურად არ იღო ეს წინადადება.

მაგრამ სულ უფრო მეტად გაისმოდა მოსაზრება, რომ სასამართლოს „კონსტიტუციური ფუნქცია“ უნდა გაძლიერებულიყო და რომ ერთადერთი ქმედითი საშუალება ამისათვის იქნებოდა სასამართლოსთვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება, გადაეწყვიტა, მიეღო თუ არა განაცხადი განსახილველად და დასკვნის გამოსატანად. დაახლოებით ამ სისტემით მუშაობს აშშ-ის უზენაესი სასამართლო (*certiorari* პროცედურა). ეს შეჭველად მის-

³⁶ საქმე „ფრეთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 29.4.2002, 2346/02 § 87, ECHR 2002-III.

³⁷ საქმე „ბეილერ იტალიის წინააღმდეგ“, 5.1.2000, 33202/200 § 100, ECHR 2000-I.

³⁸ № 14 ოქმი; განმარტებითი ანგარიში, § 7.

³⁹ ბრძენთა ჯგუფის ანგარიში, წარდგენილი მინისტრთა კომიტეტისადმი; 10.11.2006 (Sages (2006) 06 EN, § 35

⁴⁰ 2002 წლის იანვრის ანგარიში, § 66.

ცემდა სასამართლოს შესაძლებლობას, გამოერიცხა უმნიშვნელო კატეგორიის განაცხადები. მაგრამ ამ იდეას მხარდაჭერა დღემდე არ მოუპოვებია. ინდივიდუალური განაცხადის შეტანის უფლება მართებულად მიიჩნევა კონვენციის საკონტროლო მექანიზმის მთავარ კომპონენტად და მას არ უნდა მიადგეს ზიანი⁴¹. ასე რომ, სასამართლოს რეფორმის იდეები დღემდე საფუძვლად იღებენ განაცხადის შეტანის, სასამართლო განხილვისა და გადაწყვეტილების უფლების არსებობას. კონვენციის №14 ოქმი რადიკალურად არ ცვლის საკონტროლო სისტემას, მაგრამ პროცედურულ საშუალებებს აძლევს სასამართლოს, რომ მან განაცხადები უფრო სწრაფად გადაამუშაოს.

ბ. პროცედურული მუხლები

კონვენციის 27-ე მუხლი და 28-ე მუხლის პირველი („ბ“) პუნქტი ახალი და მთავარი პროცედურული ნორმებია. ისინი კონკრეტულად არ ეხებიან უმნიშვნელო საქმეებს (როგორც ახალი, 35-ე მუხლის მე-3 („ბ“) პუნქტი), მაგრამ სასამართლოს გაფილტვრის შესაძლებლობას აუმჯობესებენ უამრავ არაარსებით განაცხადთან დაკავშირებით და მას უკეთეს მეთოდებს სთავაზობენ განმეორებადი საქმეების განსახილველად და დასამუშავებლად⁴², ამასთან, ცხადია, რომ უმნიშვნელო საქმეების გამოსარიცხადაც აძლევენ იარაღს.

ახალი 27-ე მუხლი ადგენს ერთი მოსამართლის უფლებამოსილებას, გამოაცხადოს განაცხადი დაუშვებლად ისეთ საქმეებში, „სადაც განაცხადის დაუშვებლობა თავიდანვე აშკარაა“⁴³. ხოლო 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი სამი მოსამართლისგან შემდგარ კომიტეტს ეხება, რომელსაც აქამდე მხოლოდ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება შეეძლო, ანუ შეეძლო გამოეცხადებინა განაცხადი დაუშვებლად. ახალი ვარიანტით ეს მუხლი უფლებამოსილებას ანიჭებს კომიტეტს, რომ მან მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება, ანუ დაშვებულად გამოაცხადოს განაცხადი და, ამავე დროს, გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის არსებითი მხარის შესახებ გამარტივებული და დაჩქარებული პროცედურით⁴⁴, თუკი განაცხადის ძირითადი საკითხი უკვე გადაწყვეტილია სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი პრეცედენტული სამართლით. ბუნებრივია, რომ ეს ასე იქნება განმეორებითი საქმეების შემთხვევაში. ცხადია, რომ ეს პროცედურა გამოსადეგი იქნება აგრეთვე უმნიშვნელო კატეგორიის საქმეებისთვისაც, როცა მათ დაუშვებლად აცხადებენ ახალი 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

გ. უმნიშვნელო კატეგორიის საქმეთა დაუშვებლობა

კონვენციის ახალი 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ერთადერთი ნორმაა, რომელიც მკაფიოდ არეგულირებს *de minimis non curat praetor* პრინციპს და, ამდენად, რეფორმის

⁴¹ №14 ოქმი, განმარტებითი ანგარიში § 34; ბრძენთა ჯგუფის ანგარიში; შენიშვნა №39 სქოლიოში, § 42.

⁴² განმარტებითი ანგარიში, § 36.

⁴³ განმარტებითი ანგარიში, § 67.

⁴⁴ განმარტებითი ანგარიში, §§ 68, 69.

ქვაკუთხედს წარმოადგენს. კონვენცია შესაძლებლობას იძლევა, რომ განაცხადი, რომელსაც წარმატების პერსპექტივა აქვს ან თუნდაც აშკარად დასაბუთებულია, გამოცხადდეს დაუშვებლად⁴⁵. ეს აშკარა გამონაკლისია იმ პრინციპიდან, რომ საკონტროლო მექანიზმი მიზნად ისახავს ადამიანების სამართლებრივ დაცვას მათი უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისგან. მაგრამ ამ პუნქტის მიზანია, სასამართლო უფრო მოქნილი გახადოს, ვიდრე უკვე არსებული დასაშვებობის კრიტერიუმები იძლევა ამის საშუალებას⁴⁶. ინტერლექტის კონფერენციამ მოუწოდა სასამართლოს, „სრული მოცულობით აემოქმედებინა დასაშვებობის ახალი კრიტერიუმები⁴⁷“ და, როგორც ჩანს, სასამართლო ამისთვის მზად არის⁴⁸. ცხადია, რომ ახალ მუხლში გამოყენებული ტერმინები დამატებით განმარტებას ითხოვენ.

ამას გარდა, განმარტებით ანგარიშში ნათქვამია, რომ ახალი მუხლი ითხოვს აგრეთვე კრიტერიუმების განვითარებას სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში⁴⁹, რაც სასამართლომ დაიწყო კიდევ⁵⁰. ახალი მუხლის გამოყენება შესაძლებელია სამი პირობის არსებობისას: ა) განმცხადებელს მნიშვნელოვანი ზიანი არ მისდგომია; ბ) ადამიანის უფლებების პატივისცემა არ მოითხოვს საქმის შემდგომ განხილვას; გ) საქმე სათანადოდ არის განხილული შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ.

ა) უმნიშვნელო ზიანი

პრეცედენტულ სამართალში რამდენიმე მაგალითი გვაქვს ასეთი საქმეებისა. მაგალითად, საქმეში „კოროლიოვი რუსეთის წინააღმდეგ“⁵¹ განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი და N°1 ოქმის პირველი მუხლი, რადგან რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ გადაუხადეს მას 22.50 მანეთი, როგორც ეს სასამართლომ გადაწყვიტა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა:

- ტერმინი „მნიშვნელოვანი ზიანი“ არ ექვემდებარება ამომწურავ განმარტებას.
- *de minimis non curat praetor* – ზოგადი პრინციპი ნიშნავს, რომ უფლებათა დარღვევამ უნდა მიაღწიოს სიმწვავეს მინიმალურ დონეს.
- სიმწვავეს/სისასტიკის შეფასებისას საქმის ყველა გარემოება უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, მათ შორის განმცხადებლის სუბიექტური აღქმაც და რაც ობიექტურადაა მოცემული.
- საერთოდ, ყველაზე ზომიერი ფულადი ზიანიც კი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ ცხადია, რომ 22.50 რუსული მანეთი მაინც უმნიშვნელო თანხაა.

⁴⁵ განმარტებითი ანგარიში, § 79.

⁴⁶ განმარტებითი ანგარიში, § 78.

⁴⁷ სამოქმედო გეგმა, 19.2.2010.

⁴⁸ იხ. გადაწყვეტილება 1.7.2010, 25551/05 – „კოროლიოვი რუსეთის წინააღმდეგ“.

⁴⁹ იხ. გადაწყვეტილება 1.7.2010, 25551/05 – „კოროლიოვი რუსეთის წინააღმდეგ“.

⁵⁰ იხ. შენიშვნა 48 გადაწყვეტილების სქოლიოში.

⁵¹ იხ. შენიშვნა 48.

შედგენი კი ის არის, რომ მნიშვნელოვანი ზიანი, ჩვეულებრივ, არ დადგება მინიმალური ფულადი ზიანის დროს. მართალია, განმცხადებლის ეკონომიკური მდგომარეობა მხედველობაშია მისაღები, მაგრამ რამდენიმე ევროც არ იქნება მნიშვნელოვანი თანხა (ევროზე ნაკლები კოროლიოვის შემთხვევაში, 7.99 ევრო ზემოთ განხილულ საქმეში „სტივენ ბოკი გერმანიის წინააღმდეგ“⁵² და 90 ევრო საქმეში „მიჰალ იონესკუ რუმინეთის წინააღმდეგ“)⁵³.

მეორე მხრივ, სასამართლომ აღნიშნა, რომ⁵⁴ ფულადი ინტერესი არ შეიძლება ერთადერთი ელემენტი იყოს იმის შესაფასებლად, ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზიანს. განაცხადებმა, სადაც მცირე ფულად ზიანზეა საუბარი, შეიძლება მიაღწიოს სიმწვავის მოთხოვნილ დონეს მაშინ, როცა ისინი პრინციპის მნიშვნელოვანსაკითხებს ეხება. ასეთ შემთხვევებში ადამიანის უფლებათა პატივისცემა მოითხოვს საქმის შემდგომ განხილვას (იხ. „ბბ“ ქვემოთ). უმეტესად ასეთი ვითარება გვექნება იმ განაცხადებთან დაკავშირებით, რომლებიც მე-2 და მე-3 მუხლებს და ალბათ მე-5 მუხლსაც ეხება⁵⁵. მაგრამ თითოეული საკითხი დამოუკიდებლად არის განსახილველი. ზემოთ ნახსენებ საქმეში „კ-3 გერმანიის წინააღმდეგ“ დარღვევა, როგორც ჩანს, არ აღწევდა სიმწვავის მინიმალურ დონეს⁵⁶.

ბბ) ადამიანის უფლებათა პატივისცემა მოითხოვს განხილვას

ეს ტერმინები აღებულია 37-ე მუხლის პირველი პუნქტიდან, 38-ის პირველი პუნქტის („ბ“), ამჟამად 39-ე მუხლიდან. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელიც ამ მუხლებს ეხება და კოროლიოვის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ახალი 35-ე მუხლის მე-3 პუნქტს („ბ“)⁵⁷ ეხებოდა, აზუსტებენ, თუ რა პირობებით იქნება შემდგომი განხილვა აუცილებელი:

- როცა განაცხადი წამოჭრის ისეთი ზოგადი ხასიათის საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონვენციის შესრულებაზე და მუხლების განმარტებაზე;
- როცა არსებობს საჭიროება, განიმარტოს სახელმწიფოს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- როცა სახელმწიფო უნდა დაარწმუნონ, რომ მან სტრუქტურული პრობლემა უნდა გადაჭრას.

მსგავსი მოთხოვნები გვხვდება კონვენციის 30-ე და 43-ე მუხლებში („...საქმე წამოჭრის კონვენციის განმარტებისთვის სერიოზულ საკითხს“, „ზოგადი მნიშვნელობის სხვა სერიოზულ საკითხს“).

⁵² იხ. შენიშვნა 24.

⁵³ იხ. გადაწყვეტილება 28.6.2010, 36659/04.

⁵⁴ შენიშვნა 48 კოროლიოვის საქმეში.

⁵⁵ იხ. განსხვავებული აზრის მქონე კომისიის წევრების განმარტება, შენიშვნა 22. მათი აზრით, მე-5 მუხლთან დაკავშირებულ საქმეებში არ შეიძლება *de minimis non curat paetor*-ის გამოყენება.

⁵⁶ შენიშვნა 21.

⁵⁷ შენიშვნა 48.

გგ) საქმის სათანადო განხილვა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ

ეს მოთხოვნა, როგორც ჩანს, ყველაზე რთულია. განმარტებითი ანგარიში ბევრს არაფერს ამბობს ამის თაობაზე⁵⁸, ის ენება სუბსიდიარობის პრინციპს და აცხადებს, რომ თითოეული საქმე უნდა შეისწავლონ ან ეროვნულმა სასამართლოებმა, ან სტრასბურგის სასამართლომ.

როგორც წესი, აუცილებელია, რომ ეროვნულ სასამართლოს შესწავლილი ჰქონდეს ის გარემოებები, რომლებსაც განაცხადი ეყრდნობა და მიღებული ჰქონდეს გადაწყვეტილება მათთან დაკავშირებით, ან განმცხადებლის აპელაციის საფუძველზე, ან მის გარეშე. არ არის აუცილებელი, რომ ეროვნულმა სასამართლომ გაარკვიოს, დაირღვა თუ არა კონვენციით გარანტირებული უფლებები, საკმარისი იქნება იმის შემოწმება, დაცული იქნა თუ არა შესაბამისი ეროვნული გარანტიები.

კოროლიოვის საქმეზე გადაწყვეტილებაში⁵⁹ სასამართლომ დაადგინა, რომ მთავარი საკითხი მდგომარეობდა იმაში, უარი ეთქვა თუ არა განმცხადებელს მართლმსაჯულებაზე მის ქვეყანაში. ასე რომ, მისი შედეგი იყო ის, რომ ახალი ნორმა შეიძლება გამოყენებული იქნეს, როცა ეროვნული სასამართლო უარს ამბობს საქმის შესწავლაზე იმის გამო, რომ შესაბამისობა არ არსებობს პროცედურულ მოთხოვნებთან. იგივე შედეგი გვექონდა სახეზე, როცა განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოხდა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ იძლეოდა აპელაციის შესაძლებლობას, კონვენცია კი არ იძლევა იმის უფლებას, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრდეს შემდგომ ეროვნულ სასამართლოებში, როცა საბოლოო გადაწყვეტილება უკვე გამოტანილია.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, შედეგი შეიძლება ერთნაირი არ იყოს ნებისმიერი საქმისთვის, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა გამორიცხავს განხილვას. იმ საქმეებშიც, კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების საპირისპიროდ, არ არსებობს უფლება სასამართლოზე და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება, ან თუ დაირღვა განმცხადებლის უფლება, გათვალისწინებული კონვენციის მე-6 მუხლით (სასამართლოს ხელმისაწვდომობა), 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენება არ შეიძლება, რადგან საქმე სათანადოდ არ განხილულა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ.

სათანადო განხილვა: სასამართლო არ ცნობს პასუხისმგებლობას, შეამოწმოს, სწორია თუ არა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მას ხშირად აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ ის მეოთხე ინსტანციის სასამართლოს არ წარმოადგენს და რომ მისი ფუნქცია არ არის, გამოასწოროს ეროვნული სასამართლოს მიერ სავარაუდოდ დაშვებული ფაქტობრივი თუ სამართლებრივი შეცდომები⁶⁰. ერთადერთი გამონაკლისი თვითნებური გადაწყვეტილება გახლავთ. ამ სიტუაციაში გადამწყვეტი კითხვაა, განიხილა თუ არა ეროვნულმა სასამართლომ განაცხადის საგანი. შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ

⁵⁸ § 82.

⁵⁹ შენიშვნა 48.

⁶⁰ საქმე „გარსია რუიზი ესპანეთის წინააღმდეგ“, 21.1.1999, 30544/96 § 28, ECHR 1999-I.

საქმის სამართლიანი მოსმენა, როგორც წესი, იქნება სათანადო განხილვა კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის („ბ“) მიზნებისთვის.

დ. უმნიშვნელო კატეგორიის საქმეები გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო სტრასბურგის სასამართლოს მსგავს მდგომარეობაში იმყოფება, რადგან ის, *inter alia*, განიხილავს კონსტიტუციურ სარჩელს, რომელიც ნებისმიერმა პირმა შეიძლება წარადგინოს სასამართლოში, თუკი ის ამტკიცებს, რომ საჯარო ხელისუფლების უწყებამ დაარღვია მისი ერთ-ერთი ძირითადი უფლება (გერმანიის ძირითადი კანონი, მუხლი 93 (1, 4 „ა“)). მსგავსად კონვენციის 35-ე მუხლისა, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ საქმის მიღებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურება სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო აქტის 90-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საკონსტიტუციო სარჩელის შეტანა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოში არ შეიძლება, სანამ დაცვის ყველა არსებული საშუალება არ ამოიწურება. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს რვა მოსამართლისგან შემდგარ კოლეგიაზე ან სამი მოსამართლის მიერ პალატაში. საკონსტიტუციო სარჩელი მიიღება, თუ მას საკონსტიტუციო მნიშვნელობა აქვს ან თუ მასზე მითითებულია, რომ სარჩელი მისაღებია ძირითადი უფლებების დაცვის მიზნით. იგივე ხდება, თუ მოსარჩელემ „განსაკუთრებით დიდი ზიანი მიიღო სარჩელის უარყოფის შედეგად (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო აქტის 93 („ა“) მუხლი). ეს მუხლი იმავე ფილოსოფიას წარმოგვიჩინებს, რაზეც ზემოთ აღვნიშნეთ სტრასბურგის სასამართლოსთან დაკავშირებით: ორივე სასამართლოს ევალება ადამიანის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო მისია. ამას გარდა, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო აქტის 93 („ა“) მუხლში „სერიოზული ზიანი“ და კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 („ბ“) პუნქტში „მნიშვნელოვანი ზიანი“ ერთნაირად არის ფორმულირებული. მაგრამ შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს უფრო მეტი საშუალებები აქვს საკონსტიტუციო სარჩელის უარსაყოფად.

ჩვეულებრივ, სარჩელის მიღებაზე გადაწყვეტილებას სამი მოსამართლისგან შემდგარი პალატა იღებს. პალატას შეუძლია უარი თქვას სარჩელის მიღებაზე ერთსულოვნად ზეპირი მოსმენის და მიზეზების განმარტების გარეშე. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო აქტის 93 მუხლი, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები).

სარჩელის მიღების შემდეგ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, ძირითადი კანონის რომელი მუხლი დაირღვა, როგორც ამას სტრასბურგის სასამართლო აკეთებს კონვენციის გარანტიებთან დაკავშირებით. მაგრამ სტრასბურგის სასამართლოსგან განსხვავებით, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვს, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, გააუქმოს სასამართლოს განჩინება ან გადაწყვეტილება და დაუბრუნოს მას საქმე (მუხლი 93 „გ“). ამგვარი გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიის მიერ, ხოლო შედარებით ცხად საქმეებში პალატაც იღებს გადაწყვეტილებას, „თუკი კონსტიტუციური საკითხი, რომელიც სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებას განსაზღვრავს, უკვე გადაწყვეტილია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ“ და თუ სარჩელი „ამკარად

დასაბუთებულია“ (მუხლი 93 „გ“). აქ მოჩანს მსგავსება კონვენციის 28-ე მუხლის მე-2 („ბ“) პუნქტთან, რომელიც კომიტეტების კომპეტენციას ეხება, „თუ საქმის ძირითადი საკითხი... უკვე გადაწყვეტილია სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი პრეცედენტული სამართლით“. როცა საკონსტიტუციო სარჩელი კანონს უპირისპირდება და წარმატებას აღწევს, საკონსტიტუციო სასამართლო კანონს ძალადაკარგულად აცხადებს (მუხლი 95 (3), ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ კოლეგია იღებს (მუხლი 93 „გ“, 1). სტრასბურგის სასამართლოს არ გააჩნია მსგავსი შესაძლებლობები. მაგრამ არის საქმეები, როდესაც საპილოტე გადაწყვეტილებებში ის დროს ადგენს კანონის შესაცვლელად ან ახლის ასამოქმედებლად.

არსებობს კიდევ ერთი განსხვავება ამ ორი სასამართლოს სამეთვალყურეო სისტემებში, რომელზეც უნდა ვისაუბროთ ამ კონტექსტში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხილეთ „ა“ III ზემოთ), ფედერალური საკონსტიტუციო აქტის 31-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ფედერალური და რეგიონული (მიწების) კონსტიტუციური ხელისუფლებისთვის და ნებისმიერი სასამართლოსა თუ სხვა უწყებებისთვის. გადაწყვეტილებას კანონის ძალა აქვს და ქვეყნდება ოფიციალურ ბიულეტენში, "Federal Law Gazette"-ში, თუ სასამართლო აცხადებს, რომ კანონი შეესაბამება ან არ შეესაბამება გერმანიის ძირითად კანონს (კონსტიტუციას) ან თუ ის ძალადაკარგულად აცხადებს მას. მსგავსი მუხლი კონვენციაში არ არსებობს. კონვენციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტი გადაწყვეტილების სავალდებულო ძალას იმ საქმეებით შემოზღუდავს, რომლებშიც სახელმწიფოები მხარეებს წარმოადგენდნენ. ასე რომ, სტრასბურგის სასამართლოს, როგორც საერთაშორისო სასამართლოს კონტროლის ქმედითობა შედარებით სუსტია. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს თავისი გავლენა აქვს იმ წევრ სახელმწიფოებზე, რომლებიც მხარეები არ იყვნენ საქმეში (იხ. „ა“ III, ზემოთ). ასე რომ, განსხვავება უფრო თეორიული სახისაა, ვიდრე პრაქტიკული.

გერმანიის კანონმდებლობაში ნახსენები არ არის პრინციპი *de minimis non curat praetor*, მაგრამ ნათელია, რომ უმნიშვნელო კატეგორიის საქმეებს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებს, როგორც ამას 93 „ა“ მუხლი ითვალისწინებს. სამი მოსამართლისგან შემდგარი პალატა უარს იტყვის საქმის მიღებაზე და ეს გადაწყვეტილება არც უნდა დასაბუთდეს, იგი საბოლოოა.

ე. დასკვნა

35-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში ჩამოყალიბებულია დასაშვებობის ახალი კრიტერიუმი. ის საინტერესო მიდგომას წარმოადგენს და შესაძლოა, კარიც ფართოდ გაულოს *de minimis non curat praetor* პრინციპის უფრო ზოგად გამოყენებას სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. მაგრამ რჩება გარკვეული ეჭვებიც იმის თაობაზე, შეძლებს თუ არა ის მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესოს სასამართლოს გაფილტვრის უნარი და მისცეს მას შესაძლებლობა, უფრო მეტი დრო დაუთმოს იმ განაცხადებს, რომლებიც იმსახურებენ განხილვას⁶¹.

⁶¹ განმარტებითი ანგარიში, § 77.

აღბათ უფრო რეალისტურნი ვიქნებით, თუ ვივარაუდებთ, რომ ახალი მუხლი მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის განაცხადების შემთხვევაში იქნება გამოყენებული. გარანტიები მის ფორმულირებაში ძლიერია და ეს განსაკუთრებით ეხება ეროვნული სასამართლოს მიერ საქმის სათანადოდ განხილვის მოთხოვნას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ახალი ნორმა პირველი ნაბიჯია და მას სხვებიც მოჰყვება პრეცედენტულ სამართალში ან შესწორებების შემცველ ოქმში. დისკუსია სასამართლოს რეფორმებზე გრძელდება და უეჭველია, რომ გამოინახება გაფილტვრის შესაძლებლობის გამაუმჯობესებელი გზებიც⁶².

⁶² ბრძენთა ჯგუფის ანგარიში, შენიშვნა 39; ინტერლაქენის კონფერენციის სამოქმედო გეგმა, შენიშვნა 47.